პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 იანვარი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 25 (14629)

ხუთწლედი — ვადამდე!

დაწინაურდნენ მილმგლინავები

რუსთავი. (საკ. კორ.). კვლავ მოწინავეთა რიგებში დგანან მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ნოვატორები. იანვარში მათ უფრო სრულყვეს მილების წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და ვადამდე 101 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება. პირველობას არ თმობენ ოსტატები ო. კაპანაძე და ბ. თარგამაძე, მვალცავი ს. ბეჟაშვილი, უფროსი მერგოლურები დ. ობოლაძე, ჟ. ჩხიტუნიძე და სხვები. იანვარში ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ საქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებაში.



საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქსა და საზღვარგარეთის ოცდაათ ქვეყანაში იგზავნება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია. ახალი წლიდან ყველა საამქრო რიტმულად მუშაობს. მაღალ მაჩვენებლებს აღწევს მეოთხე სადნობი საამქროს კოლექტივი. აქ ყოველდღე უშვებენ ათობით ტონა ზეგეგმით ფეროშენადნობს. ქარხანაში ახლახან მწყობრში ჩადგა ახალი ლაბორატორიის შენობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით.

სურათებზე: № 4 საამქროში (ზემოთ); კომუნისტური შრომის ბრიგადის მოწინავენი — მდნობელი ჯ. თეთნაძე (მარცხნივ) და უფროსი მექურე გ. კვინიკაძე.

ფოტო გ. ბერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამხანაგების ნდობა

PRAVDA

30 იანვრის მოწინავე

ყოველთვის, როცა ახლადარჩეული პარტკომი ან ბიურო პირველ სხდომაზე იკრიბება, მის წინაშე დგება ბევრი საკითხი. რით დავიწყოთ? რას მოვკიდოთ ხელი პირველ რიგში? რას მივაპყროთ მთავარი ყურადღება?

ცნობილია, რომ ეკონომიკა კომუნიზმისათვის ბრძოლის ძირითადი სფეროა. დღეს ცხოვრება ჩვენს სახალხო მეურნეობას უსახავს ახალ, სულ უფრო მასშტაბურ და რთულ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ ახალი მეთოდებისა და გადაწყვეტილებების ძიებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ საკვანძო პრობლემაა გადაჭრით ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, ამ ამოცანის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ პირველად პარტორგანიზაციებს, მათს ბიუროებსა და კომიტეტებს, რომლებსაც კომუნისტები ანდობენ თავიანთი მუშაობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას.

უკანასკნელ ხანს პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკაში ფართოდ ინერგება პერსპექტიული დაგეგმვა. იგი საშუალებას გვაძლევს მრავალი საკითხიდან გამოვყოთ ყველაზე ძირითადი საკითხები, მოვნახოთ ჯაჭვის ის განსაკუთრებული რგოლი, რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩავეკიდოთ, რათა, როგორც ლენინი გვასწავლის, ამოვწიოთ მთელი ჯაჭვი. ბევრი საქარხნო პარტკომისა და ბიუროს გეგმებს წითელ ზოლად გასდევს დღეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, დანერგონ მოშჭირნეობის რეჟიმი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კომუნისტები ზრუნავენ იმისათვის, რომ უფრო აქტიური გახადონ კვლევა, დროულად დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციები ყურადღებას მიაპყრობენ სახალხო მეურნეობის მართვის, აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას: ყველაზე მეტ წარმატებას იქ შევალწევთ, სადაც კომუნისტების მიერ არჩეული ხელმძღვანელი ორგანო პირველი ნაბიჯებიდანვე თავის საქმიანობაში ეყრდნობა კოლექტიურ აზრს, ორგანიზაციის ყველა წევრის შემოქმედებითს აქტივობას. კომუნისტი ამხანაგების ნდობას იგი ღირსეულად გაამართლებს მხოლოდ იმ პირობით, თუ მოქმედებს სახელმძღვანელოდ მიიღებს მათს საქმიან რჩევა-დარიგებას, ყურადღებით გაითვალისწინებს და შეასრულებს თვითეულის სახარგებლო ინიციატივას:

რით დაიწყო, მაგალითად, მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ პარტკომმა? მან გულდასმით გაუკეთა ანალიზი კრიტიკულ შენიშვნებსა და კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კონფერენციასა და საამქროთა საანგარიშო კრებებზე გამოითქვა. სწორედ ეს კრიტიკული შენიშვნები და კონკრეტული წინადადებანი დაედო საფუძვლად პარტკომის სამუშაო გეგმას, დაეხმარა მას განესაზღვრა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის ქმედითი ღონისძიებანი, დაეხსნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ახალი სახეობის ჩარხების გამოშვების დაჩქარებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ამოცანად დაგვისახა ბოლო მოვუღოთ უყაირათობას, მფლანგველობას, ავამაღლოთ დისციპლინა და პასუხისმგებლობა ყველა დონეზე, გადაჭრით ვიბრძოლოთ უძრაობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების სრული გამოყენება. ყოველივე ეს პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ საჭიროა გამაძლებდეთ თვითეული მუშაკის, თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. და ახლად არჩეული პარტკომებისა და ბიუროების უმნიშვნელოვანესი საზრუნავია ის, რომ შექმნან პარტიულ ორგანიზაციებში მაღალი პრინციპულობის ვითარება, იბრძოლონ იმისათვის, რომ პარტიის თვითეული წევრი უთუოდ ასრულებდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებს.

ახლანდელ პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლსა და შესრულების შემოწმებას, როგორც გეგმებისა და ამოცანების წარმატებითი განხორციელების, მუშაობაში ხარვეზებისა და ნაკლოვანებების თავიდან აცილების დიდმნიშვნელოვან პირობას. უპირველესი ამოცანა ის არის, რომ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შევამოწმოთ ადამიანები და შევამოწმოთ საქმის ფაქტიური შესრულება“. მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობა.

რაზე მეტყველებს, მაგალითად, ასეთი შემთხვევა? კიროვოგრადის ქარხანა „კრასნაია ზვეზდა“ ხელმძღვანელები დაადგენენ სახელმწიფოს მოტყუების გზას, წელიწადნახევრის განმავლობაში ანგარიშგებას ზედმეტად მიაწერეს 1,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. ქარხანაში არის პარტიული კონტროლის კომისიაც, სახალხო კონტროლის ჯგუფებიც, მაგრამ პარტიული კომიტეტი ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობდა მათ, არ ზრუნავდა განხორციელებულ ღონისძიებათა ქმედითობისათვის, უყრად არ იღებდა კომუნისტებისა და უპარტიოების სიგნალებს. სწორედ ამის შედეგად აქ შესაძლებელი გახდა ხერხიზულად დაერღვიათ სახელმწიფო დისციპლინა.

ფილითიწლოგით. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშენებლებმა სულ უფრო მეტ სხვადასხვა ობიექტს აშენებენ. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციების კოლექტივები განუწყვეტლივ ზრდიან მუშაობის ტემპს. მაგალითად, თუ 1968 წელს მათ აწარმოეს 26,5 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, შარშან ეს ციფრი ოცი და მეტი პროცენტით გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წელს მათ უნდა აითვისონ კიდევ 6,6 მილიონ მანეთზე მეტი. გაუწყვეტლივ გადასცემენ საექსპლოატაციოდ მეფრინველეობის ფაბრიკებს, მეცხოველეობის ფერმებს, კლუბებს, კინოთეატრებს, კულტურის სახლებს, ადმინისტრაციულ შენობებს, საცხოვრებელ სახლს, სკოლებს, საავადმყოფოებსა და სხვა ობიექტებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ამასთან ისინი, როგორც წესი, შენდება ინდუსტრიული მეთოდებით.

მაღალი მაჩვენებლებისათვის სამინისტროს № 1 კოლექტივი ბარშან დაჯილდოდა სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. კარგად იმუშავეს აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟისა და სპეციალური სამუშაოთა სამმართველოს № 2 ტრესტის კოლექტივმა და სხვებმა.

მაგრამ სამინისტროს ყველა ორგანიზაცია და საწარმო როდი ასრულებს სახელმწიფო გეგმებს, რაც გაჭიანურა ახლანს რესპუბლიკის სოფლის მშენებელთა მთელი კოლექტივის საქმიანობის საერთო მაჩვენებლებზე.

სამინისტროს მუშაობაში წარმატებებისა და წარუმატებლობის დეტალურ ანალიზს მიეძღვნა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელიც გაიმართა 29 იანვარს თბილისში, საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური კვლევის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში.

მოხსენება სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა მუშაობისა და საიჯარო მშენებლობის შედეგების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრმა შ. ბ. თათარაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე, „საქმთავარკოლმეურნეობამშენის“ უფროსი ვ. გ. გელაშვილი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი ბ. ბ. პეტროსიანი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟისა და სპეციალურ სამუშაოთა სამმართველოს უფროსი ა. ჯ. ჯაკობია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი თ. შ. ყენია, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის დირექტორი ა. ლ. მაისაშვილი, საქართველოში, სოხუმსა და აზერბაიჯანში სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთავარი საწარმოო-განმკარგულებელი სამმართველოს უფროსი ს. ს. კოგალენკო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 2 მომრავი მექანიზებული კოლონის ბრიგადირი ი. ა. ტაბატაძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ვ. ჭირაქაძე, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ი. დ. თულაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მმართველი გ. ა. დოლიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ბ. გ. გიგიბერია.

აქტივის მონაწილეებმა მიიღეს 1970 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და მიმართეს ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კუბავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა. (საქდესი).

ზეგეგმითი მადანი

ჰიათურა. ამ დღეებში კალინინის მაღაროთა სამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მადანი წაიღო მორიგმა ეშელონმა. ეს მეოთხე შემადგენლობაა, რომელიც მაღაროს კოლექტივმა მიმდინარე წელს დატვირთა ხუთწლედის გეგმის გადამეტებით. მაღაროელები შრომის ტემპს კიდევ უფრო ზრდიან, 8-10 პროცენტით აჭარბებენ საღღეღამისო დავალებებს. (საკ. კორ.).

□

მკიმეწონიანი ეშელონები

სოხუმი. 20 დღეში შეასრულეს იანვრის დავალება სოხუმის საოკომბინატო დეპოს მემანქანე-მეელმავლეებმა. გადაყვანილია 192 მძიმეწონიანი მატარებელი, გადატანილია 47.145 ტონა სახალხო - სამეურნეო ტვირთი, გეგმა კი 166 მძიმეწონიანი მატარებლის გადაყვანას ითვალისწინებდა. თვის ბოლომდე დეპოელებმა დამატებით კიდევ რამდენიმე მძიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანეს. (სკპ. კორ.).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კ. რ. როდრიგესი

29 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ამხანაგი კ. რ. როდრიგესი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კ. რ. როდრიგესს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და კუბის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების, საბჭოთა კავშირსა და კუბის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკითხები სოციალისტური თანამეგობრობის, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამხ. კ. რ. როდრიგესმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც კუბის კომპარტია, რევოლუციური მთავრობა და მთელი კუბელი ხალხი ახორციელებენ ეკონომიური შენებლობის გეგმების შესასრულებლად.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად უსურვა წარმატებანი კუბელ მეგობრებს სოციალისტური საზოგადოების შენებლობაში, კუბის რევოლუციის მონაპოვართა დაცვაში. შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი განუხრელად უჭერენ მხარს მომმე კუბის ღონისძიებებს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ვაშენოთ უკეთ, სწრაფად, იაფად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულოგათა მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულოგათა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც მოისმინა საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ვ. მურუსიძის ინფორმაცია რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის განსახორციელებლად დიდ მუშაობას ეწევიან სამხედრო კომისარიატებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. გაუმჯობესდა ახალგაზრდობის მომზადება სამხედრო სამსახურისათვის. კარგად არის ორგანიზებული საბჭოთა არმიაში გაწვევა. გაუმჯობესდა პირველადი აღრიცხვა.

ამასთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებები კანონის განხორციელების საქმეში. ზოგიერთ სასოფლო-სადაბო საბჭოში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ წვევამდელთის და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვას. სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული საერთო საცხოვრებლებში ახალგაზრდების ჩაწერა-ამოწერის საქმეში. გაუმჯობესებას საჭიროებს წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების საქმე.

ამაგე სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება მუდმივი კომისიის 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება — „რესპუბლიკაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ კომისიის ამ დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა. პროკურატურის, სასამართლოს შინაგან საქმეთა ორგანოების და ადვოკატურის საშუალებით სისტემატურად ეწყობა ლექციამოხსენებები საბჭოთა კანონმდებლობის, სოციალისტური თანაცხოვრების წესებსა და სხვა საკითხებზე.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ზოგჯერ დაბალია ლექცია-საუბრების თემატური და მეთოდური დონე. ხშირად ლექცია-მოხსენებები მზადდება ნაჩქარევად, აკლია კონკრეტულობა და დამაჯერებლობა.

მეერთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თვალთახედვით კომისიამ განიხილა მეერთამეობის შესახებ მომქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საკითხი.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები: ა. კარანაძე, ვ. გელაშვილი, ბ. ქელენტი, ა. წერეწუშია, ა. ჩიქოვანი, ი. ყიფიანი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე და სხვები.

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ყარაჟუმ-მდინარე დასავლეთისაკენ წავა

აშხაბადი, 28 იანვარი. (საკდესის კორ.). თურქმენეთის სსრ მთავრობამ მოიწონა თურქმენეთის წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული „ყარაჟუმის არხის მეოთხე რიგის — გეოკტეპე-კაზანჯიკის პიონერული ტრანშეის ტექნიკური პროექტი.

250 კილომეტრი სიგრძის არხის ახალი უბანი საშუალებას იძლევა მოირწყას და ათვისებულ იქნას კოპეტდაღის ყამირის 86 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. აქედან 30 ათას ჰექტარს მიიღებენ მეგამბეობის მეურნეობანი, 5 ათას ჰექტარზე „გაშენდება ვენახები და 1 ათას ჰექტარს გამოიყენებენ მეცხოველეობის პროფილის მეურნეობანი. გარდა ამისა, გაწყლიერდება 1,5 მილიონზე მეტი ჰექტარი საძოვარი.

□

ნავთობის ახალი საბადო

კუიბიშევი. მახლობლად მომუშავე გეოლოგებმა პირველად მიმდინარე წელს კოლიავანში აღმოაჩინეს ნავთობის საბადო. ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა.

შუა ვოლგისპირეთში მარტო შარშან აღმოაჩინეს თორმეტი ახალი საბადო. (საკდესის კორ.).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ

წყალსადენი მიწისქვეშა ტბიდან

ჩუვაშეთი რკინიგზელებისა და მანქანათმშენებლების ქალაქის კანაშის მახლობლად გეოლოგებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა ტბების მთელი სისტემა. ტბები სხვადასხვა სიღრმეზე მდებარეობენ ერთმანეთის ქვეშ. წყალსატარით, რომელიც ქალაქს აკავშირებს, წამოვიდა სუფთა წყლის ნაკადი.

კანაში გაიზრდება. აქ შენდება ავტომობილის სათადარიგო ნაწილების დიდი ქარხანა, მიმდინარეობს სხვა საწარმოთა რეკონსტრუქცია. დადგენილია რომ ქალაქის მზარდ მოთხოვნილებებს წყალზე უხვად დააკმაყოფილებენ მიწისქვეშა წყაროები. ტბები ხომ საკმაოდ დიდია. (საკდესის კორ.).

სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე ზაფხულის სპარტაკიადა

1970-1971 წლებში მოეწყობა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე ზაფხულის სპარტაკიადა, რომელიც იქნება ფიზიკურ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის ფართო დათვალიერება. სპარტაკიადა ოთხ ეტაპად გაიმართება.

პირველ ეტაპზე გაიმართება მასობრივი შეჯიბრები სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით საამქროებში, ბრიგადებში, განყოფილებებში, კლასებში, ფაკულტეტებზე, შემდეგ მოეწყობა სპარტაკიადები საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ფიზიკურ-ტექნიკურ კოლექტივებში, შრომელთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მერე ეტაპზე გაიმართება სპარტაკიადები რაიონებსა და ქალაქებში. ამ შეჯიბრებაში ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას ფიზიკურ-ტექნიკურ კოლექტივთა გუნდები. მესამე ეტაპზე სპარტაკიადები მოეწყობა ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, გაიმართება რუსეთის სფსრ ზონალური სპარტაკიადები, მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქ-ოლქების და ლენინგრადის სპარტაკიადები. და ბოლოს, დასკვნითი, მეოთხე ეტაპი იქნება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება როგორც საბჭოთა სპორტის უმაღლესი მიღწევების დათვალიერება. იგი გაიმართება მოსკოვში 1971 წლის იულის-აგვისტოში.

სსრ კავშირის სპარტაკიადა დიდი მოვლენაა საბჭოთა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. სპარტაკიადის მიმდინარეობის დროს განხორციელდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში და უწინარეს ყოვლისა საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურის შემდგომი დახვეწვის ღონისძიებანი, რათა ფიზიკურ-ტექნიკური განვითარდეს საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების, საშრომლოს დაცვისათვის ნისი მომზადებისათვის უფრო ეფექტიანი საშუალება.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში ოკრთვე საქალაქო, რაიონული სპარტაკიადები მოეწყობა იმგვარად, რომ მონაწილენი არ მოცდენენ შრომას, სწავლას.

ჩავაბამთ მილიონობით საბჭოთა ადამიანი რეგულარულ მეცადინეობაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში — ასეთია სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის მთავარი მიზანი.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ლენინგრადი. „ძვირფასო ამხანაგო ლენინ“ — ასეთი სახელწოდებით დოკუმენტალის კრებული გამოუშვა ლენინგრადის გამომცემლობამ. წიგნში შეგიდა მისასალმებელი წერილები, დეპეშები, რომლებიც ილიჩს გაუგზავნეს პიტერის მუშებმა, ჯარისკაცებმა, მეზღვაურებმა 1917 წლის 9 ნოემბრიდან 1924 წლის 19 იანვრამდე.

წიგნში წარმოდგენილია ბარ 4 ეგ ამ მოწმობებისა და სამგებების ფოტოპირები, რომლებიც ვ. ი. ლენინს ჰქონდა, და მოსაწვევი ბარათები, რომლებიც ბელადს გაუგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციამ, საწარმომ, უმაღლესმა სასწავლებელმა. წიგნში გამოქვეყნებულია 350-ზე მეტი სხვადასხვა დოკუმენტი, რომელთაგან უმრავლესობა პირველად იბეჭდება. (საკდესის კორ.).

ᲐᲗᲐᲡ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲖᲔ

საბჭოთა კავშირში პირველი 750 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი სამრეწველო ხაზი გაიჭიმება ათას კილომეტრზე მთლ უკრაინაში — დონბასიდან ლვოვის ოლქამდე. ელექტროგადამცემი ხაზის პროექტს ამთავრებენ „ენერგოკომსელპროექტის“ ინსტიტუტის უკრაინის განყოფილების სპეციალისტები. ელექტროგადამცემი ხაზის პირველი რიგის მშენებლობის დაწყება განზრახულია მიმდინარე წელს.

ელექტროგადამცემი ხაზი — 750 ეფექტიანობს სამეალებას მისცემს ელექტროენერგიის დიდი ნაკადი გადასცეს უზარმაზარ მანძილზე მინიმალური დანაკარგებით. (საკდესის კორ.).

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25-ე წლისთავისათვის

გამომცემლობა „ნაუკამ“ ამას წინათ გამოუშვა საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ხ. ფოსკალენკოს წიგნი „სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით“.

ახალი ამგვარი საინტერესო მკითხველთა საყურადღებოდ აქვეყნებს ამ წიგნის შესავალს, დაწერილს მისი ავტორის მიერ.

ომის წინ

დიდი სამამულო ომის შესახებ უკვე ბევრი წიგნი და სტატია დაიწერა. და, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება. ნაპოლეონის ომების შესახებ ხომ ას წელზე მეტ ხანს წერდნენ. ხოლო 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი თავისი გრანდიოზული მასშტაბებით, მასში მონაწილე ძალებისა და საშუალებების რაოდენობით, გამოყენებული სხვადასხვა საომარი ტექნიკის დონით განუზომლად აღემატება ყველა წინა ომს.

მეც, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ომის მონაწილეს, მაქვს საამბობი ჩემი თაობის მკითხველებისთვისაც და, რაც მთავარია, ახალგაზრდობისათვის, რომელიც ჩვენგან იღებს ესტაფეტას — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და დიდი სამამულო ომის საბრძოლო, დიდებით მოსილ დროშებს, რათა ამაყად ატაროს ისინი შემდგომ, ადამიანთა ბედნიერების მწვერვალებისაკენ — კომუნიზმისაკენ. სწორედ მათთვის არის დაწერილი ეს მოგონებანი სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით წარმოებული საბრძოლო მოქმედების შესახებ, სადაც მე მომიხდა ბრძოლა ომის პირველი დღიდან.

მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ომის შესახებ ამ პირად მოგონებებს დაუმატო ზოგიერთი აზრი, რაც ეხება მის წინა პერიოდს, რადგან თუ ნათელი, სწორი წარმოდგენა არ გვექნა ომისწინა ღონისძიებებზე ქვეყნის თავდაცვის დარგში, ძნელია მივხვდეთ როგორც ჩვენი დროებითი წარუმატებლობების მიზეზებს ომის დასაწყისში, ისე საბჭოთა შეიარაღებული ძალების დიადი გამარჯვების საწყისებს. საქმის ამ მხარეებს მინდა შევეხო შესავალში და, რა თქმა უნდა, პრეტენზია არა მაქვს, რომ მათ ამომწურავად გავაშუქებ.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჰიტლერული გერმანია — საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალა ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. ახლა ყველასათვის ცნობილია ამ ომის — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძაფრი და ყველაზე სისხლისმღვრელი ომის შედეგები. საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. თავისი ეკონომიური და სახელმწიფო წყობილების ძალაზე, თავისი შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე დაყრდნობით მან არა მარტო გაანადგურა ჰიტლერული გერმანია, დაიცვა თავისი ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ოქტომბრის მონაპოვარნი, არამედ ფაშისტური უღლისაგანაც გაათავისუფლა ევროპის ხალხები, რომელთაგან ბევრნი სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ, მიხაილოფერი ჭირისგან იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია.

და ყოველივე ამაში საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომისწინა პერიოდს. ხუთწლიანების წარმატებანი ეკონომიკის განვითარებაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში, კულტურის ზრდაში იმ დიდი მუშაობის შედეგია, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწეოდა საბჭოთა ადამიანების აღსაზრდელად მარქსზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით, სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით. საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებაზე უდიდესი გაკვლევა მოახდინა საბჭოთა კავშირის ხალხების მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ და შეგობრობამ.

ამ სახელოვანი პერიოდის მიღწევებმა ბევრ რამეში წინასწარ განსაზღვრეს ჩვენი ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის, საომარი მასალისა და სხვ. წარმოების უკეთ ორგანიზაციისათვის ამავე წელს შეიქმნა ოთხი სახალხო კომისარიატი: ავიამრეწველობის, გემთმშენებლობის, საომარი მასალისა და შეიარაღებისა. 1940 წელს საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინა რა ავიაციის გაზრდილი მნიშვნელობა, გადასინჯა სამხედრო საპაერო ძალთა განვითარების წინათ მიღებული გეგმა მისი შესრულების ვადების „შემცირების მხრივ. ლადგენილება „წითელი არმიის საავიაციო ძალთა ორგანიზაციის შესახებ“ ითვალისწინებდა, რომ შემდგომი წლის ბოლოსათვის მწყობრში გყოლოდა 18 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავი.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე ომისწინა წლებში შეიქმნა ჯავშნსატანკო ჯარები, ავიაცია, გადიდდა პაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება. 1931-დან 1940 წლამდე პერიოდში სახმელეთო ჯარების ცეცხლითი შეხალებლობანი გაიზარდა 8-ჯერ და უფრო მეტად, საბრძოლო თვითმფრინავების რიცხვი — 7-ჯერ, ტანკებისა — 43-ჯერ. ომისწინა პერიოდში მწყობრში ჩადგა 312 საბრძოლო ხომალდი, მათ შორის 206 წყალქვეშა ნავი. მარტო 1941 წლის პირველ ნახევარში წარმოებულ იქნა ახალი კონსტრუქციის 2650 თვითმფრინავი, მათ შორის მიგ-3, იაკ-1, ლაგგ-3, პე-2, და ილ-2, 600-ზე მეტი ძმიმე ტანკი კვ და მსოფლიოში საუკეთესო 1225 საშუალო ტანკი ტ-34, შეიარაღებაში შეტანილ იქნა არტილერიის ახალი სახეები, შემუშავდა საცდელი რეაქტიული დანადგარები ბმ-13. იქმნებოდა შავი და უერადი ლითონების სათბობის, საწვავ-საცხები მასალების, სუროსათის სახელმწიფო რეზერვები და სამობილიზაციო მარაგი.

თვით არმიაში ამ პერიოდში მიმდინარეობდა საომარი მოქმედების ფორმებისა და წარმოების მეთოდების ინტენსიური სრულყოფა და ამავე დროს ტარდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი ჯარების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ახალი ტექნიკის ბაზაზე. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლებისათვის ყველაზე მოწინავე სამხედრო მეცნიერებაზე დაყრდნობით. ეს იყო ძირეული სამხედრო რეფორმების, საბრძოლო ტექნიკის ყველაზე ეფექტურად გამოყენება ახალი ხერხების ძიების, ჯარების საბრძოლო მომზადების ახალი ფორმების გაუმჯობესების, საბჭოთა სამხედრო დოქტრინის გამომუშავების პერიოდი.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო თეორიული აზროვნების განვითარებას, კვალიფიციური სამეთაურო და პოლიტიკური კადრების მომზადებას. ომის დაწყებისათვის მათ ამზადებდა 19 აკადემია, 10 უნივერსიტეტი სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებლებში, 7 უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, რომლებშიც 37,1 ათასი მსმენელი იყო. გარდა ამისა, 1940 სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა 238,9 ათასამდე კურსანტი. პარტია მუდამ ზრუნავდა პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობაზე, მის აღზრდაზე კომუნიზმის საქმისადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცებდა არმიის პარტიულ ორგანიზაციებს.

30-იან წლებში ეწყობოდა მრავალი სწავლება და თავისი მასშტაბებით დიდი მანევრები ბელორუსიის, კიევის და სხვა სამხედრო ოლქებში, სადაც მუშავდებოდა ტანკების, ავიაციისა და სადესანტო ჯარების მასირებული გამოყენების საკითხები, აგრეთვე შეტევითი ოპერაციების ჩატარება დიდ სიღრმეში.

თუ რამდენად უსაფუძვლოა ზოგიერთი სამხედრო ისტორიკოსისა და მემუარისტის მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა, აგრეთვე უმაღლესი სამხედრო სარდლობა თითქოს ვერ ხედავდნენ მუქარას ჰიტლერული გერმანიის მხრივ, აგრეთვე ვერ აფასებდნენ მოტორის, მანქანების როლს მომავალ ომში, ეს ჩანს, მაგალითად, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, გენერალური შტაბის, სამხედრო ოლქებისა და არმიების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირის დოკუმენტებიდან. ცნობილია, რომ თათბირი დამთავრდა ოპერატიულ-სტრატეგიული თამაშებით რუკებზე. ამის შემდეგ თამაშების მონაწილენი მიწვეულ იქნენ მთავარი სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა კრემლში 1941 წლის 18 იანვარს. მას დაესწრნენ აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ამ სხდომაზე გენერალური შტაბის უფროსმა არმიის გენერალმა კ. ა. მერეცკოვმა გააკეთა მოხსენება ჩატარებული შეკრებებისა და თამაშების შესახებ. ღირსშესანიშნავია, რომ უკვე მაშინ, როგორც მან აღნიშნა, ერთ-ერთი ძირითადი სამხედრო თამაშის შინაარსი იყო საბჭოთა ჯარების ოპერატიული გაშლის გეგმები ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემთხვევისათვის. ამ ფაქტს კომენტარი არ ეხაჭიროება.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი არმიის მოტორიზაციის დარგში აისახა ი. ბ. სტალინის გამოსვლაში აღნიშნულ სხდომაზე. როგორც წერს არმიის გენერალი მ. ი. კაზაკოვი, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა, სტალინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ დაჩქარებულიყო ჯარების აღჭურვა ტანკებით და მკვეთრად გაკრიტიკა მცდარი შეხედულებანი ზოგიერთი მუშაკისა, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფასებდნენ მოტორიზაციას.

იმავე გამოსვლაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „თანამედროვე ომი მოტორების ომი იქნება: მოტორები მიწაზე, მოტორები პაერში, მოტორები წყალზე და წყალქვეშ. ამ პირობებში ის გაიმარჯვებს, ვისაც მეტი მოტორები და სიმძლავრეთა მეტი მარაგი ექნება“*).

ჩვენს ეკონომიურ შესაძლებლობებს, მრეწველობის სიმძლავრეებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ მთლიანად დაეკმაყოფილებინათ იმ მოკლე ვადაში არმიისა და ფლოტის მოთხოვნილებანი. საჭირო იყო მოგვეგო დრო, გადაგვეწია ჰიტლერული გერმანიის თავდასხმა. და ამისათვის საბჭოთა მთავრობა დგამდა სხვადასხვა პოლიტიკურ და დიპლომატიურ ნაბიჯებს. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ენერგიულ ზომებს რომ იღებდნენ, პარტია და მთავრობა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ მოეწყო საჭირო მზადება შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად.

ჰიტლერელებმა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპის ოკუპაცია რომ მოახდინეს, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის სამხედრო თავდასხმის საფრთხე მკვეთრად გაიზარდა. სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითებით თავდაცვის სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ და გენერალური შტაბის უფროსმა კ. ა. მერეცკოვმა 1940 წ. 18 სექტემბერს წარადგინეს „მოსაზრებანი 1940 და 1941 წლებისათვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დასაღეთსა და აღმოსავლეთში სტრატეგიული გაშლის საფუძვლების შესახებ“. ამ დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ყველაზე მოსალოდნელი მოწინააღმდეგე დასავლეთში ჰიტლერული გერმანია იყო, ხოლო აღმოსავლეთში — იმპერიალისტური იაპონია. ნახევარი თვის შემდეგ ეს დოკუმენტი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა განიხილეს. მათი მითითებით იგი გადამუშავებულ და კვლავ განხილულ იქნა იმავე წლის 14 ოქტომბერს.

ომის საფრთხესთან დაკავშირებით ეწყობოდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საჩქარო გაშლა. 1939 წ. 1 იანვრიდან 1941 წ. 1 ივნისამდე განვლილ პერიოდში მათი საშტატო რიცხვი თითქმის 2,8-ჯერ გაიზარდა. 1939 წ. სექტემბრიდან 1941 წ. ივნისამდე გაიშალა 125 ახალი მსროლელი დივიზია, დაიწყო 29 მექანიზებული კორპუსის, 27 საარტილერიო პოლკისა და 10 საარტილერიო ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადის, 25 საავიაციო დივიზიის შედგენა. დამატებით იქმნებოდა ხაფრონტო და საარმიო სამმართველოები, შენდებოდა საკომანდო პუნქტები და ავროდრომები, უშუალოდ საზღვრისპირა ოლქების ჯარებში ხორციელდებოდა ღონისძიებანი საბრძოლო მზადყოფნის გასაძლიერებლად.

1941 წ. დამდეგს მიღებულ იქნა ზომები ჯარების დაფარვისა და სტრატეგიული გაშლის გეგმების რეალიზაციისათვის. იანვარში განსაკუთრებული ოლქების ჯარებს ებრძანათ გადასულიყვნენ გაძლიერებულ მზადყოფნაზე. სასწრაფოდ გამოგზავავდა სტრატეგიული რეზერვები იმპერიალიკალიდან, ურალიდან, აღმოსავლეთ ციმბირიდან, თურქესტანიდან. გენერალური შტაბის 1941 წ. 13 მაისის დირექტივებით დასავლეთ დვინა-დნეპრის ზღუდეზე ბაზები გადაიტანეს: 22-ე არმიამ ურალის სამხედრო ოლქიდან, 21-ემ — ვოლგისპირეთის, მე-19-ემ — ჩრდილოეთ კავკასიის, 25-ე მსროლელმა კორპუსმა — ხარკოვის სამხედრო ოლქიდან. 22 მაისიდან დაიწყო მე-16 არმიის გადასროლა იმიერბაიკალის სამხედრო ოლქიდან მარჯვენა ნაპირის უკრაინაში. სულ ჩვენი ქვეყნის საღრმიდან წამოწეულ იქნა 28 დივიზია, 9 საკორპუსო მმართველობა, 4 საარმიო მმართველობა.

ასეთი იყო საქმის ვითარება ომის შემთხვევისათვის საბჭოთა ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების მომზადებაში.

მკითხველს, მეტადრე ახალგაზრდას, უფლება აქვს იკითხოს: თუ განხორციელებული იყო ასეთი საფუძვლიანი მომზადება თავდასხმის მოგერიებისათვის, რატომ მოხდა, რომ ომის პირველ პერიოდში ჩვენი არმიები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ? იმიტომ რომ ომი ჩვენთვის უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. მტერს ჰქონდა თუმცა დროებითი, მაგრამ ფრიად არსებითი უპირატესობანი, ფაშისტურმა გერმანიამ დასავლეთის იმპერიალისტთა წაურუებით აგრესიის დაწყებამდე ბევრად ადრე გადაიყვანა თავისი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე. შემდეგ გერმანია არმიამ, რომელსაც თავისი ავიაციის მთელი სიმძლავრე ეხმარებოდა, გაანადგურა ევროპის თითქმის ყველა არმია, გავიდა ლა-მანშზე, ატლანტიკაზე, ადრიატიკაზე, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, დასასრულ ჩვენს დასავლეთ საზღვრებზე. მის განკარგულებაში აღმოჩნდა დაპყრობილი ქვეყნების საწარმოო და სამხედრო რესურსები, სამობილიზაციო მარაგი.

ბრძოლები გაჩაღდა უზარმაზარ ფრონტზე თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ასეთ მძლავრ დარტყმას. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო. ომის პირველი პერიოდის მძიმე განსაცდელმა ვერ გატეხა ჩვენი მეომრების საბრძოლო სულისკვეთება, საბჭოთა ხალხის სიმტკიცე, ვერ შეარყია სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენა. წითელმა არმიამ შეაჩერა ჰიტლერელთა ავაზაკური ლაშქრობა, დაიცვა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაანადგურა დამპყრობნი და ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ევროპის ბევრი ქვეყნის ხალხები. საბჭოთა კავშირმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, მარტო მან შეძლო შეესრულებინა ფაშიზმის განადგურების ამოცანა.

*) იხ. მ. ი. კაზაკოვი. ყოფილი ბრძოლების რეტაბუ. მ., 1965, გვ. 65, 66.

ოთხმოცდაათ

ჩვენი ახალი ფოსტიდან

მკითხველთა კალმით

● ირაკლი. ნაყოფიერად მუშაობს მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი განათლების განყოფილების გამგე შ. ჩხიკვაძე). მიმდინარე წელს რაიონის ყველა საშუალო და ორ რვაწლიან სკოლაში შეიქმნა აღნიშნული უნივერსიტეტის ფილიალები. პირველი მეცადინეობები მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების კონგრესის მუშაობის დასასრულს. ეს ფილიალები. ეს ფილიალები. ეს ფილიალები

ჟურნალი დღეს

ЛЕНИНИС ИУБИЛЕЙС ШЕСАХЕБЕДРОД

● **БЕЛГРАДШИ** дасрулдебода ვ. ი. ლენინის ძეგლი, ეს გადაწყვეტილება მიიღო იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის ბელგრადის საქალაქო კონფერენციის აღმასკომმა. შემუშავებული ა ავრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ოქტომბრის რევოლუციის ბელადისადმი მიძღვნილი გამოფენების ორგანიზაციას, შუშათა და სახალხო უნივერსიტეტებში ლენინის თემატიკაზე ლექციების ციკლის მოწყობას.

● **ჯაპანაში** გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია ფოტოსურათები და მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე.

გამოფენის გახსნისას კუბის მშრომელთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ეტორ ლატურმა თქვა: ვ. ი. ლენინის სახე მუდამ იქნება მსოფლიოს ექსპლუატირებული და ჩაგრული ხალხების გამამთავისუფლებელი ბრძოლის მთავარხელმძღვანელი.

საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გენიალური შემქმნელი ღრმად იყო „დარწმუნებული, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს. შეურიგებლად იბრძოდა მარქსიზმის რევოლუციური პრინციპებისათვის, სწამდა მშრომელი მასებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის გამოსვლები.

მაგნიტოფონზე ჩაწერილია სიტყვები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა 1919-1920 წლებში, მათ შორის „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?" და „შრომითი დისციპლინის შესახებ". (საკდესი).

იაპონია

საბჭოთა ხელოვნება გამოფენაზე „ექსპო-70"

ტოკიო, 29 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. გავრილენკო გვატყობინებს:

მთელი ძალით მიმდინარეობს სამუშაოები „ექსპო-70" გამოფენაზე საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციის გაფორმების დასამთავრებლად. აქ ფიქრობენ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პავილიონი. ექსპონატები ასახავენ საბჭოთა ადამიანების მიღწევებს დიდი ლენინის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე.

